

## ფოლკლორისტთა საერთაშორისო სიმპოზიუმი

2014 წლის 1-4 ოქტომბერს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ჩატარდა მსოფლიო ფოლკლორისტთა საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი თემაზე: „Natura Spirits: Continuity and Change“ (ბუნების სულები: მუდმივობა და ცვლილება). კონფერენციის ფინანსური მხარდამჭერი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, ხოლო ორგანიზატორი - ფოლკლორისტთა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების წევრი, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი ბელა მოსია.

კონფერენციაში მონაწილეობას იღებდა 32 ფოლკლორისტი მსოფლიოს 13 ქვეყნიდან, რომლებიც წარმოადგენენ ფოლკლორისტთა ინტერნაციონალური საზოგადოება ISFNR-ს (Internacional Society for Folk Narrative Foundation). კონფერენციას ესწრებოდნენ კომიტეტის პრეზიდენტი მირიან მენსეი, ფონდის ქართული განყოფილების ხელმძღვანელი რუსუდან ჩოლოყაშვილი, ბრიტანეთის ფოლკლორული საზოგადოების წევრი მერი ხუბუნეიშვილი.

კონფერენციის გახსნას ესწრებოდნენ სამეგრელო-ზემო სვანეთში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის პირველი მოადგილე კობა ქანთარია, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკონსულოს თავმჯდომარე მერაბ ქვარაია და ზუგდიდის გამგებლის მოადგილე გიზო სართანია. კონფერენცია მისალმებით გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა თეონა ხუფენიამ.

კონფერენციაზე წარმოდგენილი 64 მოხსენების თეზისი დაიბეჭდა და გამოიცა ინგლისურ ენაზე.

[http://www.isfnr.org/files/Nature\\_spirits\\_Zugdidi.pdf](http://www.isfnr.org/files/Nature_spirits_Zugdidi.pdf)